პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 71 (775) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ფრანკის კრიზისი და ერიოს მთავრობა.

ერიოს მთავრობის საქმე ამ ბოლო ხანებში ცუდათ მიდის. ამის მიზეზია საფრანგეთის ფინანსიური კრიზისი. ფრანკის კრიტიკული მდგომარეობა ძირს უთხრის ერიოს და მის ძმათა ბატონობას.

ფრანკის დაცემასთან ერთად ძლიერდება მსხვილი ბურჟუაზიის პარტიის—ეროვნული ბლოკის შეტევა ერიოზე, მაგრამ ერიო ცდილობს გამოვიდეს არსებულ მდგომარეობიდან. მან გადააყენა ფინანსთა მინისტრი კლემენტალი, რომელიც მომხრე იყო ქაღალდის ფრანკების მოჭრის გადიდებისა, რაც საბოლოოდ დასცემდა ფრანკის ღირებულებას. მის ადგილზე დანიშნა დემონზი, რომელმაც უკვე გამოიმუშავა ფინანსიური გაჯანსაღების ახალი გეგმა.

თავისი შინაარსით ეს გეგმა არაფერს ახალს არ ლაპარაკობს. ის მომხრეა ქაღალდის ფრანკის მოჭრის გადიდების, თუმც არა იმდენათ, როგორც ამას კლემენტალი მოითხოვდა; მთავარი ამ გეგმაში არის მუხლი, რომელიც ეხება კაპიტალის მიერ ერთდროულ ნებაყოფლობითი 10-პროც. გადარიცხვ ს. უკვე ეს სიტყვა „ნებაყოფლობითი“ ნიშნავს იმას, რომ ახალი საფინანსო რეფორმა გამოკიდებულია ჰაერში, ვინაიდან საფრანგეთის მსხვილი კაპიტალი ერთ კაპეიკს არ გადიხდის, მით უმეტეს ნებაყოფლობით. დე-მონზის საფინანსო რეფორმის გეგმა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ერიოს ჯგუფის სრულ უსუსურობას მტკიცედ გაატაროს დასახული ამოცანები ცხოვრებაში.

როცა ერიო და მისი პარტია მემარცხენე ბლოკი ჩადგა საფრანგეთის მთავრობის სათავეში ის დიდი რიხით ლაპარაკობდა კაპიტალის დაბეგვრაზე, მაგრამ სინამდვილეში მან ეს ვერ გაბედა. დღეს ის ფიქრობს ნებაყოფლობის ნიადაგზე გადაახდევინოს მსხვილ კაპიტალს საჭირო თანხა. ტყუილი იმედებია. მსხვილი ბურჟუაზია სწორედ დაინტერესებულია ფრანკის დაცემაში, ვინაიდან ამით ის დიდ მოგებას პოულობს.

და ცხადია ის სრულიად არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომ ხელი შეუწყოს ფრანკის გამაგრებას.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ დემონზის გეგმა მინისტრთა საბჭომ მოიწონა.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის უნდა გატარდეს ცხოვრებაში, რადგან ამისათვის საჭიროა დეპუტატთა პალატის დასტური. დე-მონზის რეფორმის გამარჯვება ძლიერ საეჭვოა, ვინაიდან მას სასტიკი წინააღმდეგობით შეხვდება მემარჯვენე ბლოკი, რომელსაც სრულიად ადვილად შეიძლება მხარი დაუჭიროს მემარცხენე ბლოკის მემარჯვენე ფრთამ. რომ გავიდეს ეს რეფორმა, ის მაინც ქაღალდზე დარჩება. ისეთი მთავრობა, რომლის დადგენილებანი ქაღალდზე რჩება, დიდხანს ვერ გაძლებს სახელმწიფოს სათავეში.

მით უმეტეს ძვალრბილი ერიოს მთავრობა, რომელიც მუდამ მერყეობს, ქანაობს და მით ხელს უწყობს მსხვილი კაპიტალის ინტერესების განხორციელებას.

## მწვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ.

ჯარში გაწვევამდე მზადების მე-2-რე ხელის შემშლელ მიზეზად (იხ. გაზ. „წითელი-არმიელი“, № 73 (771) ა. წ. 4 აპრილიდან) უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სამხედრო მეცადინეობისაგან არ თავისუფლდებიან მწვევამდელ ჰასაკის (1903-4 წ. წ. დაბადებულნი) მოწაფეები და სტუდენტები, რის გამოც უკანასკნელებში ადგილი აქვს დეზერტირობას, მზადების პუნქტებში არ გამოცხადებას.

დეზერტირობას მათ შორის ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მათ, ე. ი. მოწაფეებს და სტუდენტებს ხან ანთავისუფლებენ სამხედრო მეცადინეობისაგან, ხან კი ისევ უკან იწვევენ. ეს უკანასკნელი მდგომარეობა ქმნის დიდ გაუგებრობას, რომელსაც ადრე უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენ ქალაქებში, როგორც მთავარ, ისე სამაზრო ცენტრებში მწვევამდელთა რიცხვის ნახევარზე მეტს მოწაფეობა და სტუდენტობა შეადგენს.

მათი სრულიად განთავისუფლება მეცადინეობისაგან შეუძლებელი ხდება.

რომ მოსწავლე ახალგაზრდობა არ მოცდეს სასწავლებლებში სწავლას—ჩვენის აზრით ყველა იმ მოწაფეებს შორის, რომლებიც შრომის სკოლებსა, ტეხნიკუმებსა, პოლიტეხნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში დილით სწავლობენ, ჯარში გაწვევამდე მზადება უნდა გაატარონ საღამოობით და დანარჩენებთან, რომლებიც საღამოობით არიან სასწავლებლებში—მზადება უნდა გაატარონ დილაობით.

ადგილებზე მომუშავეებმა უნდა გაუწიონ ანგარიში ამ მდგომარეობას და მეცადინეობა უნდა აწარმოონ, როგორც დილით, ისე საღამოობითაც.

სხვანაირი გამოსავალი ჩვენი შეხედულებით არ არის.

მზადების გავლის ვადა არ არის მაინცა და მაინც ძალიან გრძელი. დარჩა კიდევ ძალიან ცოტა დრო.

ამ ხნის განმავლობაში მწვევამდელთა შორის მომუშავეებმა ფართოთ უნდა გამოიყენონ მოწაფეებსა და სტუდენტთა შორის მყოფი პარტიისა და კომკავშირის წევრები მწვევამდელთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გასატარებლად. მათგან გამოყოფილ უნდა იქმნან მწვევამდელთა შორის მომუშავე ოცეულისა და უფროსი პოლიტ-ხელები, ა. ლ. კ. კ. კოლექტივის მდივნები, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა, სამხედრო კორესპონდენტები და სხვ. ერთი სიტყვით ამ დარჩენილ მცირე დროის განმავლობაში ადგილებზე მომუშავეებმა ყოველ მხრივ უნდა გამოიყენონ მოსწავლე ახალგაზრდობიდან პარტიისა და კომკავშირის მომზადებული წევრები—მწვევამდელები, მწვევამდელთა შორის პოლიტ-მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად.

მ. ს.—ვი.

# ახალი რადიო-ამბები

## ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის გარშემო.

### მურაშკოს გასამართლება.

ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის შესახებ გამოძიებას აწარმოებს ვილნოს „საპელიაციო“ სასამართლოს გამომძიებელი სანგაილლო. საქმის გარჩევა დანიშნულია ივნისში. ბრალდებულ მურაშკოს დაიცავენ ნაფიცი რწმუნებულები ნედზილსკი და შურლეი.

წინააღმდეგ წინაგანცხადებისა, გაზეთები ახასიათებენ მურაშკოს, როგორც თავშეუკავებელს, ფიცხსა და გრძნობიერ კაცს.

## ამხ. სადულის პროცესი.

7 აპრილის სხდომაზე ილაპარაკეს მთავრობის კომისარმა და დამცველმა ბერტონმა. ბრალმდებელმა დაახასიათა ამხ. სადული, მაგრამ როცა ბრალდებაზე გადავიდა, მისი საბუთები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ დამცველის სიტყვას მოგაგონებდა.

ბრალდებული მაინც მოითხოვს სადულის დასჯას იმ მუხლების ძალით, რომლებშიაც გათვალისწინებულია პატიმრობა 5-დან ოც წლამდი.

დამცველი გადაჭრით მოითხოვს, რომ თუ სადული დამნაშავეა—დასაჯონ ის შეუწყნარებლად, თუ არა—გაამართლონ,

შემდეგ დამცველს მოჰყავს ამონაწერები პარლამენტის მოლვაწეთა საბუთებიდან, რომლებიც ამტკიცებენ სადულის სიმართლეს.

შემდეგ ბერტონი სასტიკად გმობს მოკავშირეების ბოლიტიკას რევოლიუციონურ რუსეთის მიმართ და ნათლავს მას უაზრო პოლიტიკად.

„სადული გამართლებულ უნდა იქნას—აცხადებს ბერტონი—ვინაიდან სადულის დამნაშავეთ ჩათვლა—ეს ნიშნავს გალაშქრებას ძლევამოსილ რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც უკვე ცნობილია ლონდონის და პარიზის მიერ.

დღევანდელ საერთაშორისო აწეწილ მდგომარეობაში, როცა მოსალოდნელია ომების საფრთხე, მხოლოდ ეს ერთი რევოლიუცია უცხადებს ყველა ქვეყნების ხალხებს მშვიდობიანობას.“

ბერტონის სიტყვას მხურვალე ტაშით შეეგება დამსწრე საზოგადოება.

## ჟაკ სადული.



საფრანგეთის ცნობილი კომუნისტი, რომელსაც ამ ჟამად ასამართლებს საფრანგეთის ბურჟუაზიული სასამართლო იმისათვის, რომ მან რუსეთში 1917—1918 წლებში საფრანგეთის სამხედრო მისიის წევრად ყოფნის დროს მიემხრო ოქტომბრის რევოლიუციას.

ჯერ კიდევ კლემანსოს მთავრობამ 1919 წელში, როდესაც ის რუსეთში იყო, ის გაასამართლა და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ დღეს სულ სხვა მდგომარეობაა იქ. ძლიერ საეჭვოა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი შეურიგდეს იმას, რომ მის ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლს და წინამძღოლს მოუხდეს თუმც რამოდენიმე თვითაც კი ციხეში სხდომა.

## რუსეთის კომპარტიის გზით.

### პოლონეთის კომპარტიის მისალმება რკპ-ს.

პოლონეთის კომპარტიის ყრილობამ მიმართა რკპ-ს მისალმებით, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენი უწმინდესი მიზანია ვიაროთ თქვენი გზით; თქვენებრ შევკრიბოთ მუშურგლეხური მასები კომუნისტური დროშის გარშემო და წინ წაუძღვეთ მათ გამარჯვებისა და ძალა-უფლებისაკენ.“

ლენინის გარდაცვალების შემდეგ პირველი ყრილობის რეზოლიუციაში ნათქვამია: „მისი მოძღვრება ცეცხლის სვეტია, რომელიც წინ მიუძღვის მუშათა კლასის რიგებს და უნათებს საერთაშორისო პროლეტარიატს გამარჯვების გზას. ჩვენ გამსჭვალული ვართ მტკიცე გადაწყვეტილებით ვიაროთ ბოლომდის ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ლენინიზმის დროშის—ამ გამობრძმედილი იარაღის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატის საბოლოო-გამარჯვებას“.

## ინგლისის პრესა პროფკავშირთა კონფერენციის შესახებ.

### ბურჟუაზია დორბლს ყრის ჩვენი პროფკავშირების სიმულვილით.

მარტო „დეილი მეილი“, „დეილი ტელეგრაფი“ და „მანჩესტერ გარდიენი“ უთმობენ ადგილს ინგლის-საბჭოთა კონფერენციას პროფკავშირთა გაერთიანების საკითხის შესახებ.

„დეილი მეილი“ ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „ბოლშევიკების მგლები და ინგლისის ცხვრები“.

„დეილი ტელეგრაფი“ გაკვრით ეხება კონფერენციას.

„მანჩესტერ გარდიენი“ კონფერენციაში ხედავს ხაფანგს ინგლისის პროფკავშირებისათვის.

## გერმანიის „ჩეკას“ პროცესი.

პროვოკატორ ფელიქს ნეიმანის სპეციალურმა დამცველმა—გოლდშტეინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტიის ტერორისტული ჯგუფი დაარსებულ იქნა „ზევიდან ბრძანებით“. ნეიმანმა შეადგინა ტერორისტული ჯგუფი სკობლევსკისა და ბრანდლერის დავალებით.

ნეიმანი არ არის სულით ავადმყოფი, არამედ მას ისტორია აქვს; ამიტომმაა, რომ ის სულით ავადმყოფად გეჩვენება.

# ჰინდენბურგის კანდიდატურა პრეზიდენტის ადგილზე.

ბავარიის სახალხო პარტია მოლაპარაკებას აწარმოებს ჰინდენბურგთან პრეზიდენტობის კანდიდატურის გარშემო.

ჰინდენბურგი დასთანხმდა კანდიდატობაზე, იმ პირობით, თუ მემარჯვენე პარტიების ბლოკი ერთხმად მიიღებენ მის კანდიდატურას.

# არჩევნები ბელგიის პარლამენტში.

ბელგიის საპარლამენტო არჩევნებზე, ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობების თანახმად, კომუნისტებმა მიიღეს 33.264 ხმა და ერთი მანდატი, სოციალისტებს მოემატა 138.000 ხმა და მიიღეს 76 მანდატი 68-ს მაგივრად, რომელიც წინად ჰქონდათ; ლიბერალებმა მიიღეს გასული წლის 33-ს მაგივრად 24 მანდატი.

დამატებითი ცნობების თანახმად ბელგიის დეპუტატთა პალატა ნაწილდება შემდეგ ნაირად: 72—კათოლიკე, 77—სოციალისტი, 24—ლიბერალი, 5—ფლამანდიის ნაციონალისტი, 2—კომუნისტი და 1—დამოუკიდებელი.

# მიღებულ იქნა დე-მონზის გეგმა ფინანსიურ საკითხში.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მოიწონა დე-მონზის წარმოდგენილი გეგმა ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. პროექტში გათვალისწინებულია ფულის ტრიალის განსაზღვრა 45 მილიარდიანი თანხით და დაწესებულია საავანსო კრედიტის გახსნა ბანკებში სახელმწიფოსათვის 26 მილიარდამდე. შემდეგი მუხლები ეხება ნებაყოფლობითი მოწერის პირობათა ცხოვრებაში გატარებას კაპიტალზე დაწესებულ ერთდროული გადასახადის შესახებს.

# შავი ყორნები.

რუსული კომიტეტის კრებამ ვარშავაში მოისმინა მოხსენება ემიგრანტთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ორგანიზაციის თავმჯდომარემ სემიონოვმა მოუწოდა დამსწრეებს გაერთიანდენ ყოფილ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარშემო.

დამსწრეთა ერთმა ნაწილმა არციბაშევის მეთაურობით განაცხადა პროტესტი და დასტოვა დარბაზი. ამის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ სემიონოვი და ძველი შემადგენლობის ყველა წევრები

# საბჭოთა მთავრობის გასაჩივრება.

მარსელში დაიწყო საბჭოთა მთავრობის საჩივარის საქმე სავაჭრო ფლოტის უფლებაზე. ეს ფლოტი გაყვანილ იქნა რუსეთის საზღვრებიდან რუსეთის ყოფილ საზღვაოსნო-სავაჭრო საზოგადოების აგენტთა მიერ.

საბჭოთა მთავრობის სახელით ილაპარაკა ბიზოსმა, რომელმაც აღნიშნა ის გარემოება, რომელშიაც გაყვანილ იქნა ფლოტი საზღვარგარედ. ბიზოსმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე დანიშნონ დროებითი ადმინისტრატორები—ერთი რუსი და ერთი ფრანგი ფლოტის გამგეობაში. ამ პირებმა უნდა განაგონ ფლოტი მანამ, სანამ მოხდებოდეს შეთანხმება საფრანგეთის მთავრობასთან საფრანგეთში არსებულ რუსეთის ქონების საკითხში.

# ცეცხლი ნახიჩევანში.

7 აპრილს, ღამის ორ საათზე ბამბის საწმენდ ქარხანაში გაჩნდა ცეცხლი.

ენერგიული ზომების გამო ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ორი საათის განმავლობაში.

სულ დაიწვა ქარხნის შენობა, 800 ფუთი ნედლი ბამბა, 1500 ფუთი თესლი, ღვედები; გაფუჭებულია წნეხისა და მოტორის ნაწილები.

ცეცხლი გაჩენილა ნავთის ლამფისაგან. ადამიანის მსხვერპლი არ არის. სწარმოებს გამოძიება.

ცეცხლის ჩაქრობაში ენერგიულად მუშაობდენ მილიცია და ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები.

# სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს მესამე ყრილობა

## საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მთავრობის ანგარიში.

ამხ. შ. ელიავას მოხსენება.

(დასასრული)



ამხ. ელიავა.

### მრეწველობა.

ამ დარგში ჩვენ ცოტა რამ მოგვეპოვება, მაგრამ ისიც თან და თან მატულობს. სახელმწიფო მრეწველობის საერთო ღირებულება უდრის 4.077 390 მ. 1923—4 წლეებში. ამ საანგარიშო წელს 4.370.080 მ. ამასთანავე ამ შეფასებაში არ შედის თამბაქოს აქციზი. იმატა ნახშირის ამოღებამ. 1913 წელში თვეში ვიღებდით 350 000 ფ. 1922—3 წ. წ. კი შემცირდა 153173 ფუთამდე; 1923-4 წ. გაიზარდა 390705 ფუთამდე, რაც ომამდე არსებულ ნორმის 91,4 პროც. შეადგენს. ეხლა მოთხოვნილებასთან ერთად ამოღების ნორმა გადააცილებს ომამდე არსებულს. ლითონის შესახებ ჩვენ დიდი პერსპექტივები არა გვაქვს. გაზრდა ეტყობა ტყავის წარმოებაში. 1922—3 წლებში გაკეთდა 17,233 ცალი დიდი ტყავ, 1923-4 წლებში კი 23707 ცალი. ბორჯომის წყლის გატანა წარმოუდგენლად იზრდება. 1920 წელს გაიყიდა 383 ათასი ბოთლი, 1922—427000 ბოთლი, 1924 წ. კი-1.850.000 ბოთლი.

### შინა ვაჭრობა.

შინაურ ბაზრისათვის შემოაქვთ პური, შაქარი, ქსოვილები და სხვა. ამ საქონელზე მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. პურზე—72 პროც., შაქარზე—109 პროც. მანუფაქტურა—79 პროც. დანარჩენი საქონელი სრული 100 პროც.

მოვ წყვეთ ხორცის სახელმწიფო ვაჭრობა. ტფილისის ბაზარზე მისი მოთხოვნილების 50 პროც. ვაკმაყოფილებთ. საბითუმო ვაჭრობა ნავთით, მარილით და შაქრით 100 პრ. სახელმწიფოს ხელშია, პურის და მანუფაქტურის 70 პროც. წვრილ ვაჭრობაში კერძო კაპიტალს ეკუთვნის 60—65 პრ.

### „მაკრატელი"

ძლიერ გაიშალენ გასულ წლის დეკემბერში, როდესაც სასოფლო—წარმოების ინდექსი იძლეოდა 75 პროც. და მრეწველობის 123 პროც. წლის დასასრულს ეს შეფარდება უდრიდა 74 პროც. და 124 პრ.

### კოოპერაცია.

კოოპერაციაში ემჩნევა საკუთარ კაპიტალის ბრუნვაში სიმცირე. საკუთარი თანხები მკვდარ კაპიტალს მოახმარენ, ბრუნვაში კი მხოლოდ საკუთარ თანხების ერთი 20-დი იღებს მონაწილეობას.

შემდეგ ამხ. შ. ელიავა ეხება ფინანსების, ბიუდჯეტის და უმუშევრობის საკითხის მდგომარეობას და გადადის

### ელექტროფიკაციაზე

ჩვენში კეთდება თავის სიმძლავრით საბჭოთა კავშირში მეორე ელექტრო სადგური ავჭალაში, რომელიც მზად იქნება 1926 წლის მაისში, გარდა ამისა კიდევ ორი დიდი სადგური: ერთი აბაშას წყალზე, მეორე კი აჭარის წყალზე და 12 პატარა სადგურები.

დასასრულ ამხ. ელიავამ აღნიშნა, რომ ჩვენი ძირითად ამოცანას ამ ჟამად შეადგენს მუშათა და გლეხთა კავშირი. საჭიროა ფართო მასების ჩათრევა მმართველობაში, რომ უპარტიოებმაც იკისრონ პასუხისმგებლობა საერთო სახელმწიფოს მმართველობის საქმეში.

### 7 აპრილი.

#### დილის სხდომა.

გრძელდება კამათი ამხ. შალვა ელიავას მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობენ წარმომადგენლები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან. ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ მთავრობის მუშაობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, განსაკუთრებით ისინი მოითხოვდენ სასოფლო—სამეურნეო გადასახადების ნორმათა გადასინჯვას, ვინაიდან იგი ზოგიერთ გაუგებრობას ჰბადებს.

ილაპარაკეს ამხ. ამხ. ვარამაშვილმა (კახეთიდან), შაბანოვმა, მამედ ალი ოღლიმ (ბორჩალოს მაზრიდან), გობეჯიშვილმა (რაჭის მაზრა), კოსტოვმ (წალკის რაიონი), ჯატიევმა (სამხრეთ ოსეთი), თედო ღლონტმა, ჰოჰუამ (კახეთიდან) დარბაიძემ და სხვ.

#### გადასახადების შესახებ.

გლეხობის წარმომადგენლები მოითხოვდენ გადასახადების გარშემო კანონების გადასინჯვას.

ამხ. თედო ღლონტმა აღნიშნა განსაკუთრებით რომ წელს ჩატარებული საგადასახადო კომპანიები, ბევრს სუსტ მხარეებს გამოაამჟღავნებს და მომავალ წლისათვის საშუალება მოგვეცემა, რომ ეს გადასახადები ჩავატაროთ უნაკლულოთ.

#### სოფლების კეთილმოწყობისათვის.

სოფლებიდან ჩამოსული დელეგატები განსაკუთრებით აღნიშნავდენ ტელეფონის ქსელების ცუდ მდგომარეობას მაზრებში და მიმოსვლების სისუსტეს, რაც ახლო მომავალში საჭიროა გაუმჯობესდეს.

ტელეფონის ქსელის სოფლად სისუსტეს აღნიშნავენ კახეთისა და სვანეთის წარმომადგენლები, რის გამო საკმაოდ დიდ გაუგებრობას ჰქონია ადგილი.

ამხანაგები აღნიშნავდენ აგრეთვე ტეხნიკური აპარატის ადგილებზე სისუსტეს.

სხდომაზე ილაპარაკეს ყველა მაზრების გლეხობის წარმომადგენლებმა. ყველა ისინი უამბობდენ ერთმანეთს თავიანთ ჭირვარამს და ითხოვდენ მთავრობის ყურადღებას.

### 7 აპრილის საღამოს სხდომა.

#### ამხ. ელიავას საპასუხო სიტყვა.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ელიავამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყრილობა უმთავრეს ყურადღებას აქცევს სოფელს და ორატორეის უმეტესობაც აღნიშნავენ გლეხობის ჭირ-ვარამს.

„კრიტიკა, ამბობს ის, რომლითაც გამოვიდნენ აქ ორატორები სავსებით საფუძვლიანია. ჯერ არ არის ყველაფერი გაკეთებული. გზები, ხიდები, აღმშენებლობისათვის გეგმიანობის მიცემა, სოფლის მეურნეობის კითხვები — ყველა ეს აღელვებს ჩვენს გლეხობას და ამ მხრივ უნდა იქნეს მიქცეული მომავალში ჩვენი უმთავრესი ყურადღება".

მთავრობის მოხსენების შესახებ მიღებული იქნა შემდეგი

#### რეზოლიუცია:

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების ყრილობამ, მოისმინა რა ს. ს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება, აღნიშნავს მიმდინარე პერიოდში ქვეყნის კულტურულად და ეკონომიურად აწევის და უპარტიოთა ფართო მასების საბჭოთა აღმშენებლობის ჩათრევის საქმეში გაწეულ დიდ მუშაობას, რაც ძიმართულია საქართველოს მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ და ამ მუშაობას იწონებს.

### მეექვსე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

#### მიწად მოქმედების კომისარიატის მუშაობა.

ამხ. ჟვანიას მოხსენება.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობა საქართველოში მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ჩვენი ქვეყანა არის სასოფლო მეურნეობის მხარე, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ როგორ მდგომარეობაშია ჩვენი

#### სასოფლო მეურნეობა.

სასოფლო მეურნეობაში 1924 წლის სტატისტიკით ჩაბმულია თითქმის 80 პროცენტი საქართველოს მოსახლეობისა, დანარჩენები კი ქალაქის მეურნეობას მისდევენ. ამისდამიხედვით 1923-24 წლის განმავლობაში დამზადებული სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ღირებულება 72 მილიონი მანეთით გამოიხატებოდა. ქალაქისა კი 15 ნახევარ მილიონში. ამნაირად ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და ამიტომ ჩვენი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული მის დარგებისაკენ.

#### ხორბლეულობა.

მიწის ხვნა-თესვის საქმე ჩვენში ჩამოქვეითებულია. თუ დახნულ მიწის რაოდენობა 1913 წელში იყო 710, 784 დესეტინა, ეხლა იგი აღწევს მხოლოდ 546157 დესეტინას. ეს იმიტომ რომ ჩვენში უხვად შემოდის მეზობელ რუსეთის რესპუბლიკიდან პური. მოსავლიანობის შემცირება გამოწვეულია მით, რომ ადგილი აქვს სათესლე მასალის ნაკლებ ღირსებას.

#### მევენახეობა.

ერთად ერთი დარგია მევენახეობა, რომელსაც წინსვლა ეტყობა, მიუხედავათ იმისა რომ ვენახის სივრცე ჩვენში ძლიერ კლებულობს. თუ ომამდე წლიურად ერთ დესეტინაზე მოდიოდა 90 ვედრო, ეხლა მოდის 170 ვედრო.

#### მეხილეობა.

მეხილეობა იზრდება თანდათან მეტის სისწრაფითა და ნაყოფიერებით.

#### მეაბრეშუმეობა.

1910 წელს საქართველოში დამზადდა 125 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი, გასულ წელში კი 139 ათასი ფუთი. ამნაირად ეს დარგიც ვითარდება.

#### მესაქონლეობა.

მსხვილ-ფეხა საქონელს არ ეტყობა მომრავლება, პირიქით იგი შემცირდა ომის წინა წლებთან შედარებით 180 ათასი სული საქონლით.

შემცირებულია წვრილფეხა საქონლის მოშენებაც.

#### ჩაის საქმე.

ჩაის წარმოება დიდია ყოველ წარსულ წლებთან შედარებით. ამ დარგში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს შედეგებს. უკანასკნელ გამოკვლევით ჩაის სავარგისი მიწის სივრცე აღემატება 120 ათას დესიატინას.

სისწრაფით ვითარდება მეთამბაქოეობა, მებამბეობა და მებოსტნეობა.

#### სატყეო მეურნეობა.

ჩვენი მიწაწყლის 80 პროცენტი უჭირავს ტყეებს. მომავალში საჭიროა ყურადღება მიექცეს საძოვრებისა და სათიბების მოწყობას.

შემდეგ ამხ. ჟვანიამ წამოაყენა მომავალი 5 წლის მუშაობის გეგმა. გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილ დარგების განვითარებას, გეგმა შეიცავს მებამბეობის და მეფუტკრეობის განვითარების მეტ საშუალებას.

მომავალი მუშაობის საწარმოებლათ მიწად-მოქმედების კომისარიატს დასჭირდება 19,875 ათასი მანეთი. ეს ხარჯთაღრიცხვა საჭიროა დამტკიცებულ იქნეს ყრილობის მიერ.

# პარტიული ცხოვრება.

## მესანგრეთა კომუჯრედის საქმიანობიდან.

3 აპრილს შესდგა პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულის კომუჯრედის დახურული კრება. დაესწრნენ ასეულის ყველა პარტიულები, კანდიდატები და კომკავშირელები და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მო-გრებული ამხანაგები.

კრების წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. კომუჯრედის ოთხი თვის მუშაობის ანგარიში, 2. საიდუმლო ცირკულიარის განხილვა, 3. რედკოლეგიის გადახალისება, 4. თვიური სამუშაო გეგმის განხილვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

ოთხი თვის მუშაობის ანგარიში წამოაყენა კომუჯრედის პასუხისმგებელმა მდივანმა.

ამხანაგმა ჯერ გააცნო კრებას რიცხვობრივად უჯრედის შემადგენლობა და შემდეგ გადავიდა მის საქმიანობაზე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კრებები სისტემატიურად ტარდებოდა. არც ერთ წ. არმიელ ამხანაგებს არ ჰქონიათ -ან თავისი პირადი საქმეები, რაც ადგილობრივ ამხანაგების დაუდევრობას უნდა მიეწეროს.

უჯრედის პასუხისმგებელ მდივანს ეს ნაკლი გამოუსწორებია ადგილებზე მიწერ-მოწერის გამართვით.

უჯრედს მჭიდრო კავშირი ჰქონია გაბმული სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენს კრებებზე.

ჩვენს უჯრედს კავშირი ჰქონია აგრეთვე სხვა და სხვა სოფლებთან, რომლებსაც ეწეოდათ სხვა და სხვა სახის დახმარება.

უჯრედს დახმარება აღმოუჩენია ასეულში არსებულ პარტსკოლისათვის, რვეულებისა და და სხვა სამოსწავლო ნივთების მიწოდებით.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უჯრედის წევრები ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას. სხვა და სხვა პარტდავალებებს გულგრილად ეკიდებიან, რაც დაკვრითი წესით უნდა იქნას გამოსწორებული.

კრებამ მოხსენება დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

კრებამ საჭიროდ სცნო ასეულის რედკოლეგიის გადახალისება, რადგანაც ამ უკანასკნელის წევრები ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას. კოლეგიაში არჩეულ იქნენ წითელ არმიელები.

მიმდინარე საკითხებში შემოვიდა წინადადება, ნაწილში არსებულ წრეების უმოქმედობის შესახებ, რის გამო კრებამ დაადგინა, წინადადება მისცენ ხელმძღვანელებს გამოაცოცხლონ წრეების მუშაობა.

პარტკორი შაგულაშვილი.

## ადგილობრივ გლეხობას ვეხმარებით.

**მეხუთე ლეგიონის მეორე ათასეული.**

ხსენებული ლეგიონის მეორე ათასეული მოთავსებულია სამეგრელოს ერთ-ერთ კუთხეში. ათასეულის მთელი შემადგენლობის ენერგიული საქმიანობით მუშაობა მოწესრიგებული იქნა.

წვევამდელებთან განუწყვეტლად სწარმოებს მეცადინეობა. ისინიც კარგად ითვისებენ სამხედრო საქმეს.

ათასეული ძლიერ კარგ დამოკიდებულებაშია ადგილობრივ გლეხობასთან. ერთი თემი, სახელდობრ—ნოსირის აყვანილი გვყავს შეფობის ქვეშ. შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ დახმარებას უწევთ გლეხებს. განსაკუთრებით ეს დახმარება კულტურული ხასიათისაა. სისტემატიურად ვგზავნით გლეხობისათვის ჟურნალ—გაზეთებს, უკეთებთ მოხსენებებს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე და სხვა.

თუ რამე დაგვჭირდა—დიდ დახმარებას გვიწევს ადგილობრივი ხელისუფლება. იმედია არც შემდეგში მოგვაკლებს თავის მზრუნველობას.

სამხკორი ხვიჩია.

## ჩვენი საქმიანობა მწვევამდელთა შორის.

**მეექვსე ლეგიონი.**

მე-6 ლეგიონის თბილისში მდგომ ასეულების ძირითადი შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი ჩაბმული არის 1903-1904 წლებში დაბადებულ მწვევამდელთა მომზადებაში. მუშაობა ნაყოფიერად სწარმოებს. მწვევამდელებს ვამეცადინებთ როგორც სამხედრო საქმეში, ისე პოლიტიკურსა და სხვა დარგებში. დეზერტირობას თითქმის არა აქვს ადგილი. ყველა დიდი ინტერესით ეკიდება სამხედრო მომზადების საქმეს.

**სამხედრო საქმე.**

სამხედრო ვარჯიშობა მიმდინარეობს სისტემატიურად სამშაბათისა და კვირა დღეების გამოკლებით. სამეცადინო დროა სამ სამი საათი, ყოველ დილა საღამოობით.

ერთხანს ადგილი ჰქონდა უდისციპლინობას, მაგრამ სათანადო ზომების შემდეგ, შეიძლება ითქვას რომ საქმე მოწესრიგებულია.




**პარტმუშაობა.**

ყველა წერტებზე დაარსებულია პარტიის დამხმარე კომკავშირის ჯგუფები. აღრიცხულია ყველა წევრები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მათივე წრიდან გამოყოფილი კოლექტივები სათანადო გეგმის მიხედვით.

კრებები ეწყობა თვეში ორჯერ ერთი ღია და ერთიც დახურული: პარტ დავალებები წესიერად სრულდება.

სხვა და სხვა პოლიტ თემებზე და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე მოხსენებები იმართება მორიგეობით და ზოგჯერ რომელიმე თემის გარშემო იმართება საფუძვლიანი სჯაბაასი.

**პოლიტსაათები.**

ადგილობრივ ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის რაიკომებიდან გამოყოფილია სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირები, რომლებთანაც პოლიტსაათისთვის თემების მეთოდიურ, გადამუშავებას აწარმოებს ლეგიონის პოლიტხელი ა. ხ. ტურუა და შემდეგ ასე წინასწარი გადამუშავებული თემებით ხდება პოლიტსაათის მეცადინეობა სამხედრო ვარჯიშობის დაწყების წინ, სხვა და სხვა ენაზე, მწვევამდელთა ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით.

**პოლიტკულტსაგანმანათლებლო მუშაობა.**

ყველა წერტებზე მოწყობილია ლენინის კუთხეები. თავისუფალ-დასვენების საათებში მწვევამდელთა შორის, იმართება საუბრები ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. გაზეთები საკმაოდ მოდის. ყველა წერტებზე ყოველ ორკვირეულით გამოდის კედლის გაზეთები სათანადო ილიუსტრაციებით, როგორც რუსულ ისე ქართულ ენებზე.

გ. ლორთქიფანიძე.

## სანიტარული განათლება ჩვენთან.

**მეექვსე ლეგიონი.**

სანიტარული განათლების საქმეს ჩვენს ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ ექცეოდა საჭირო ყურადღება და არმიელებიც ძლიერ ჩამორჩენილი იყვნენ ამ მხრივ. ამ ჟამად როგორც იქნა მოგვაქციეს ყურადღება. სანიტარული საათები სისტემატიურად ტარდება. არმიელები ყოველთვის ბლომად ესწრებიან ჩვენი უფროსი ექიმის მიერ გამართულ საუბრებს. უმთავრესად ექიმი გვკითხავს ჯერ ვენერიულ ავადმყოფობათა შესახებ. ყოველ საუბრის შემდეგ უფროსი ექიმის ხელმძღვანელობითვე გვაჩვენებენ სურათებს და თვალნათლივ აშკარად ხდება ჩვენთვის ამ ავადმყოფობათა გამანადგურებელი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე.

ამნაირად სანიტგანათლების ასეთი მეთოდით სწავლებამ ეხლავე დიდი შედეგები მოიტანა ლეგიონში. ჩვენს რიგებში არ მოიძებნება ისეთი წითელ არმიელი, რომელმაც არ იცოდეს თუ რა მიზეზები და როგორ იწვევენ სხვადასხვა ავადმყოფობას ადამიანში.

წ. არმ. ა. გორდაძე.

## მოგვეცით წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა.

6-სე ლეგიონის 8-ვე ასეული ამჟამად იმყოფება № სოფელში და წარმატებით ეწევა თავის საქმიანობას.

მეცადინეობას სისტემატიურად ვაწარმოებთ ახლად გამოწვეულ მწვევამდელთა შორის.

დისციპლინა მათ შორის მტკიცეა. დანიშნულ დღეზე ყველანი ესწრებიან მეცადინეობას და დიდის სიხარულით ეტანებიან, როგორც სამხედრო საქმეს ისე პოლიტსაათებსა და სხვას.

დეზერტირობას სრულებით არ აქვს ადგილი.

თითეულ ამხანაგს კარგად აქვს გათვალისწინებული ტერიტორიალური სისტემის მნიშვნელობა. ძლიერ უხარიათ, რომ ისინი არ სწყდებიან მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობას.

თვე ნახევარი არის რაც მეცადინეობა დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში 325 მწვევამდელში დააკლდა სულ 17 კაცი, ისიც ოჯახის უკიდურეს მდგომარეობის გამო.

მხოლოდ საჭიროა ყურადღება მიექცეს მწვევამდელების აღზრდას.

არა გვაქვს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა. უცოდინარები კი ბევრი არიან. იმედია ამას მიიღებს მხედველობაში თევის მაზრის პარტგანათლება და გახსნის მწვევამდელთათვის წერა-კითხვი სალიკვიდაციო სკოლას.

ასეულის თავის ლაითაძე.

## ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.

თფილისში მდგომი ქართული სამხედრო ნაწილები შესდგებიან სულ ქართველი წითელ-არმიელებისაგან. როგორც რუსულ ნაწილებს, ისე მათ ხშირად უხდებათ საგარნიზონო ყარაულში სიარული. ყველა საყარაულო შენობაში არის სხვა და სხვა ინსტრუქციები. მაგალითად: საგუშაგოების ცხრილი, განსაკუთრებული მოვალეობანი ამა თუ იმ გუშაგისა ამა თუ იმ საგუშაგოზედ, სია საყარაულო შენობის ქონებისა და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუქციები რუსულად არის დაწერილი.

როდესაც რუსულ ნაწილების ყარაულს სცვლის ქართული ჯარის ნაწილების ყარაულები მათ არა აქვთ საშუალება ყველაფერი სისწორით ჩაიბარონ და მეორე დღეს გამოცვლისას უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, მით უმეტეს მაშინ თუ მათ სცვლის ისევ რუსული ნაწილი.

ადვილი მოსალოდნელია ამ ნიადაგზე ვინმე უდანაშაულო ყარაულის უფროსი მიეცეს პასუხისგებაში.

საჭიროა ყველა ამას მიაქციოს ყურადღება ქალაქის კომენდანტმა და გასცეს განკარგულება, რათა ზემოთ ჩამოთვლილი სიები და „ინსტრუქციები“ გადაიბეჭდოს ქართულ ენაზედაც.

სამხკორი ბზიკი.

## პირველ ცალკე საკავშირო ასეულის სამხედრო-სამეცნიერო წრის მუშაობა.

ხსენებულ ასეულში ეს წრე დიდი ხანია რაც დაარსებულია და ენერგიული მუშაობაც სწარმოებს.

წრეში პირველად მოხსენებებს კითხულობდა ამხ. ებანოიძე, წითელი ჯარის წარმომადგენლების თათბირის მუშაობის შედეგებზე, რომელიც მოხდა გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვში. შემდეგ კი დანაწილებული იქნა სხვა და სხვა თემები მეთაურებზე მოხსენების გასაკეთებლად.

1-ლი მოხსენება წაიკითხა ამხ. ხურცილავამ „განგაშის“ შესახებ.

მეორე მოხსენება „დივიზიის ფარგლებში მოგერიებითი ბრძოლის დროს კავშირის“ შესახებ გააკეთა ამხ. იოსელიანმა. მოხსენება საკმაოდ დასაბუთებული იყო, ნათლად იქნა გაშუქებული ჯარის მოძრაობის სხვა და სხვა მომენტები და შემდეგ მოიყვანა კავშირის ყველა საშუალებანი სქემატიურად ჯარის მოძრაობა—მოქმედებასთან შეფარდებით.

წრემ მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოთ და მიუთითა სხვა ამხანაგებსაც, ასეთი საფუძვლიანი მოხსენებების დამზადებისაკენ.

წრის კრებები იმართება ყოველ შაბათობით სისტემატიურად. მეცადინეობას დიდი ნაყოფი მოაქვს წრის შემადგენლობისათვის. ვისურვებდით, რათა ხელმძღვანელს ხშირად და სისტემატიურად მოეწყო ასეთი მოხსენებები.

ნ. სულორელი.

## საერთო ძალით საერთო საქმე გავაკეთეთ.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში დიდი მუშაობა სწარმოებს. ის რაც არ გაკეთებულა აქ სხვა დროს, ეხლა შევსძელით და გავაკეთეთ.

ამ ერთი კვირის წინად ჩვენი გუნდის ეზოში 150 საჟენის მანძილიდან გამოვიყვანეთ წყლის მილი. ამ მუშაობაში მთელი ჩვენი გუნდის შემადგენლობა ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას. წითელ-არმიელები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით თხრილების გაჭრაში, ვინაიდან გვაგონდებოდა წარსულ წლის ზაფხულის სიმწარე, როდესაც უწყლობით ვიტანჯებოდით. ამ მუშაობაში არმიელებსა და უფროსებს შორის გარჩევა არ ყოფილა. ყველა ერთნაირი სიხალისით ასრულებდა სამუშაოს, რაც ნაყოფიერად დავ მთავრეთ.

ამ რიგად მომავალში წყლით უზრუნველყოფილი ვართ.

სამხკორი ა. მსხილაძე.

## როგორ ვემზადებით სოფლად მუშაობისათვის.

**მეთაურთა სკოლა.**

ქართულ მეთაურთა სკოლაში უკვე დაიწყო გამოცდები, რომელიც მოთავდება 17 აპრილს.

ამის შემდეგ უნცროსი და მოსამზადებელი კურსების მსმენელები მიემგზავრებიან თავ-თავიანთ სოფლებში 4 მაისამდე.

უფროსი კურსის კურსანტები კი რჩებიან სკოლაში და განაგრძობენ მუშაობას ჩვეულებრივად, რადგანაც ამ მოკლე დროში უნდა მოხდეს მათი გამოშვება.

სოფლად მიმავალ კურსანტების სია წინასწარ არის შემდგარი და განაწილებულია ჯგუფებად სხვა და სხვა მაზრების მიხედვით.

თითეულ ჯგუფს ცალკე ყავს დანიშნული პოლიტხელმძღვანელები და მასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ კურსანტებს სხვა და სხვა საკითხებში, რომლებიც შესაძლებელია მისცენ სოფლებში მათ. ამნაირად თითეული ამხანაგი სწორად გასცემს პასუხს ყველა შეკითხვებზე, როდესაც წინასწარ იქნება მათთვის მომზადებული.

# ვინ იქნება შემდეგი.

**პირველ აპრილიდან ვიწერ გაზეთ „წითელი არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.**

1) ლადო სუხიშვილს თბილისის აღმასკომის თავმჯდომარეს.

2) ვარლამ მესხს ამავე აღმასკომის პრეზიდიუმის წევრს და მდივანს.

3) კომუნალურ განყოფილების გამგეს ამხ. ივანოვ-კავკასიელს.

4) ხოჯაევს—წყალ სადენის წითელ დირექტორს.

5) გიგოლია მიროტაძეს, თბილისის აღმასკომის კომენდანტს.

6) ლუკა კალმახელიძეს, საქართველოს მთავარ საავადმყოფოს ადგილკომის მდივანს.

7) არტემ ლიცინოვს, ცეკას სააღრიცხვო განმანაწილებლის გამგეს.

8) ვალია ბახტაძეს, ცეკას აგიტ. განყოფილების გამგეს.

9) ლეონტი მიროტაძეს უზენაეს სასამართლოს წევრს.

10) ვანო მაისურაძეს, პროკურატურაში.

ა. ტიგიშვილი.

# გამოუწერეთ გაზ. „წითელ-არმიელი“ ქოხ-სამკითხველოებს.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 3 მე ასეულის კურსანტები რამოდენიმე თვით უწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ 23 სოფლის სამკითხველოებს. მოუწოდებთ აგრეთვე სხვა ასეულის კურსანტებს და ჯარის ნაწილებს, რათა გამოუწერონ მათაც სოფლების ღარიბ ქოხ-სამკითხველოებს გაზეთ „წითელ არმიელი“.

სამკითხველოების გამგეებს ვთხოვთ გვაცნობონ პრესის საშუალებით ჩვენ მიერ გამოწერილ გაზეთების მიღების შესახებ.

ლავრო ჭელიძე.

ამნაირად თითეული ამხანაგი ვალდებულია ჩაუკვირდეს გლეხის ცხოვრებას, გაიგოს მათი ჭირვარამი და ყოველდღიური ცხოვრება. კურსანტებს ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლად ადმინისტრაციის მოღვაწეობას, სადაც არ არსებობს გახსნან სამკითხველოები და ჩაატარონ გლეხობაში სხვა და სხვა ხასიათის საუბრები.

კავშირის წევრები-კურსანტები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ სოფლის ან თემის უჯრედში და სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს მას.

შვებულებაში მიმავალი კურსანტების ენერგიული საქმიანობა იმის თავდებია, რომ ყველა ამას ისინი პირნათლად შეასრულებენ.

კურ. ჯ ჩარგეიშვილი.

# ჯგ წერა კითხვის მცოდნე შეემატა ჩვენს რიგებს.

**წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია 1-ლ ლეგიონში.**

საინსტრუქტორო თათბირის დადგენილების თანახმად ა. წ. მარტის 16—17 ში მოხდა გამოცდები პირველ ლეგიონის შემდეგი სასკოლო ჯგუფებისა: მასწავლებელი (წ. არმ.) მარდალეიშვილის უმწყობრო გუნდის; მასწავლებელ გეგელიას ქალის 8-ვე ასეული; მასწ. ნიკოლეიშვილის (წ. არმიელი) 6-სე ასეულის და 4. მგალობლიშვილის (წ. მოლაშქრე) 9-რე ასეულის. ამ ჯგუფებიდან ამხ. მარდალეიშვილის ჯგუფი ითვლებოდა მცირე მცოდნეთ.

საგამომცდელო კომისიაში შედიოდა: სკოლის გამგე ამხ. აბესაძე, პოლიტხელი ამხ. გ. ხომერიკი, სკოლის ინსტრუქტორი ამხ. რაზმაძე, პოლიტხელი ამხ. ლეჟავა და თითეული ჯგუფის ხელმძღვანელი.

მასწავლებელ ნიკოლეიშვილის ჯგუფიდან გამოცხადდა გამოცდაზე 20 კაცი. აქედან გამოცდები ჩააბარა და იქნა აღიარებული მცირე მცოდნეთ 19 წ. მ. მხოლოთ ერთი ჩაიჭრა.

მასწავლებელ ქალის გეგელიას ჯგუფიდან გამოცხადდა 23 წ. მ. 19 ჩააბარა გამოცდები 4 ჩაიჭრა.

მგალობლიშვილის ჯგუფიდან გამოცხადდა 34 წ. მ. ჩააბარა 32 წ. მ. 2-ნი ჩაიჭრა.

მარდალეიშვილის მცირე მცოდნეთა ჯგუფიდან გამოცხადდა 14 წ. მ. ჩააბარა ყველამ.

კომისიის მიერ გამოტანილ იქნა ჯგუფის შემდეგი დახასიათება.

როგორც გამოირკვა გამოცდებიდან და სკოლის გამგის მოხსენებიდან 9—იანვარს მომხდარ ახალ გადაჯგუფების დროს რჩეული და სათანადოთ მომზადებული ჯგუფი ყოლია მასწავლებელ ქალს გეგელიას, შემდეგ მასწ. თანაშემწეს წ. მოლაშქ. მგალობლიშვილს და შემდეგ კი ნიკოლეიშვილს (მის. თან. წით. მოლ.).

ყველა ამ ჯგუფებიდან უკეთესი პირობები ქონდა ბინის და სახელმძღვანელოების მხრით გეგელიას ჯგუფს. კომისიამ გამოარკვია რომ, ყველა ჯგუფებში მუშაობა ყოფილა ინტენსიურათ, მხოლოთ ჯგუფების შედარების დროს გამოირკვა, რომ გეგელიას ჯგუფის მსმენელებს ვერ აქვთ სათანადოთ განვითარებული კითხვისა და ანგარიშისა ტეხნიკა, რაც აიხსნება მით, რომ არ არის დაცული პროგრამის თანდათანობა მასალების მიწოდების მხრით. კომისიამ დაადგინა ჩაითვალოს გეგელიას ჯგუფის ცოდნა დამაკმაყოფილებლათ, ნიკოლეიშვილის კარგათ, მგალობლიშვილის და მარდალეიშვილის ჯგუფები კი ფრიად დამაკმაყოფილებლათ. გამოშვებულთა საერთო რიცხვი უდრის 83 წ. მოლაშქრეს.

საგამომცდელო კომისია.

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომების საქმიანობა.**

სენაკის სამაზრო გლეხკომმა მისწერა სათემო გლეხკომებს, რომ მათ ყოველ სამთვეში ჩააბარონ ანგარიშები, თავიანთი საქმიანობის შესახებ სოფლის მოსახლეთა ყრილობას.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. შინდისის გლეხებმა (გორის მაზრა) შუამდგომლობა აღძრეს ადგილობრივ შემნახველ—გამსესხებელ ამხანაგობის გახსნის შესახებ.

**გლეხთა სახლისათვის.**

სენაკის გლეხკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე გლეხთა სახლისათვის სახლის გადაცემის შესახებ.

**წისქვილის მოწყობა.**

სოფ. მლაშეში (ახლც. მაზ.) ადგილობრივმა გლეხკომმა მოაწყო წისქვილი.

**ვაზის სახვევი.**

სრ. საქ. ინვალიდთა კავშირი უგზავნის თავის განყოფილებას, ვაზის სახვევ „რაფიას“ სოფლებში გლეხობისათვის მისაწოდებლათ.

**ბრძოლა ექიმბაშობასთან.**

ექიმბაშობასთან ბრძოლის მიზნით რაჭის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა უკიდურესათ ჩამორჩენილ სოფლებში გახსნას საექიმო პუნქტები.

**გლეხკომის დახმარება.**

ახალციხის მაზრის სოფ. კეხოვანის გლეხკომმა ადგილობრივ, უხარო გლეხებს მოუხნა საყანე ადგილები.

**რადიო ლეჩხუმში.**

რადიოთი დაჯილდოებულ თემების სიაში ლეჩხუმის მაზრიდან შევიდენ ლაილაშის და ცაგერის თემები.

**თემგლეხკომის საქმიანობა.**

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა მისწერა ყველა სათემო გლეხკომებს, რომ მათ აუხსნან გლეხებს ტფილისში გლეხის სახლის გახსნის მნიშვნელობა.

**მეწყრით გაფუჭებული გზები.**

სოფ. ტოლას, რაჭ. მაზრა გლეხებმა გადასწყვიტეს შეაკეთონ საჩქაროთ მეწყრით გაფუჭებული სასოფლო გზები.

**კოოპერატივის მაგიერ.**

სოფ. ვალეში (ახალც. მაზრა) ადგილობრივ კოოპერატივის უქონლობის გამო, გლეხკომი ხსნის თავის სავაჭროს.

# ახალი ამბები.

— **კომუჯრედის კრება.** ხვალ მეორე დივ. პოლიტგანყოფილებაში შესდგება კომუჯრედის ღია სხდომა.

— **სოხუმის თამბაქოს ქარხნის** მუშაობის გასაუმჯობესებლათ ა. კ. ღმ. ეკ. საბჭომ გადასდო 50 ათასი მანეთი.

— **ბავშთა ბაგა.** ტფილ. ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის საექიმო დაწესებულებების მოსამსახურეთა ბავშებისათვის თავშესაფარს.

— **საავათმყოფოების გაფართოება.** ჯანსახკომმა დაადგინა გაამრავლოს საავათმყოფოებში ფასიანი საწოლები.

— **ცხენების მოშენების** მიზნით მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში, საქ. საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა გადასდოს 23.768 მანეთი.

— **ჩაის მეურნეობა.** მიწ მოქ. კომისარიატის ცნობით საქართველოში ჩაის პლანტაციების სივრცე უდრის 120 ათას დესეტინას.

— **წითელ სასადილოთა რიცხვი.** გასულ წლის განმავლობაში მთელ მუშკოოპს გაუხსნია ტფილისში 5 წითელი სასადილო, სადაც დღიურათ მზადდება 1.600 სადილი.

— **დასამარხი ფული.** გარდაცვლილ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა დასამარხ ფულათ მარტის განმავლობაში, დამზღვევმა კასამ გადასდო 2.008.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ვარსკვლავთა მტვერი.**

ასტრონომებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველ წლიურად იყრება ციდან დედამიწაზე 812.000 ტონი (1 ტონი უდრის 61 ფუთს) ვარსკვლავების მტვერი. ეს მტვერი ჩნდება კომეტების—კუდიანი ვარსკვლავების ან ორი ვარსკვლავის ერთმანეთთან დაჯახების ან სხვა კოსმიური კატასტროფებისაგან. ჩვეულებრივად ციური სხეულების ეს ნაშთები—ნაგლეჯები მოემართებიან დედამიწისაკენ, მეტეორების სახით. ჰაერის ტალღებში გავლით ეს სხეულები ხურდებიან ან სრულიად მტვრად იქცევიან და ან სკდებიან.

საშვალოდ ერთი საათის განმავლობაში შეიძლება შეამჩნიოთ ღამით 30 – 60 მეტრამდე (ვარსკვლავის ჩავარდნა); საერთოდ დღე ღამის განმავლობაში მეტეორთა რიცხვი რამოდენიმე მილიონამდე აღწევს. განსაკუთრებით შემოდგომაზე აღწევენ მეტეორები თავის მაქსიმუმს.

ინგლისელი ასტრონომი მურეი წლიურად 812.00[...] ტონი ცოტათ მიაჩნია. შეიძ[...]ება ვიფიქროთ, რომ დღე ღ[...]მის განმავლობაში დედამიწა[...] ცვივა 100 ტონამდე ვარსკ[...]ლავთა მტვერი. მიუხედავა[...] ამისა მილიონი წლები იქნე[...] საჭირო ამისთვის, რომ მთელ[...] მიწა ერთი დიუმის სისქეზე დ[...]იფაროს ციდან ჩამონაცვი[...] მტვერით. ხან გამოშვები[...] ძლიერ დიდი რაოდენობი[...] ცვივა ეს მტვერი.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წლის მაისში. ვიმყოფები უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლაში.

გთხოვთ მიპასუხოთ შესაძლებელია თუ არა სკოლი[...] დასრულებისას გადაყვანილ ვიქნე ქ. ქუთაისში და იქ გან[...]ვაგრძო სამხედრო სამსახური?

**პასუხი:** ერთ ნაწილიდან მეორეში გადასვლა აკრძალუ[...]ლია. სკოლის დასრულებისას გადაგზავნილი იქნებით თქვენ[...] ნაწილში. ჯარში მოხალისედ დარჩენა სამხედრო სამსახური[...] გასაგრძელებლად შეიძლება იმ შემთხვევაში თუ სკოლა და[...]სრულეთ უნცროს მეთაურის ხარისხით.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძ[...]**

# განცხადებები.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის უმცროს მეთაურ[...]თა სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება [...] ლ. კ. კ. მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. გონგლაძე ნიკოლოზ. უპარტიო.
2. ოქროაშვილი ვასილი.
3. ჭეფხოძე გიორგი.
4. თათარიშვილი იასონ.
5. ბედოევი ნიკოლოზი.
6. ცუცქირიძე ვლადიმერ.
7. აგლაძე სტრიფონი.
8. ხომერიკი იაკიმე.
9. ვასაძე ვასილი.
10. ქოქოშვილი ნიკოლოზ.

აღნიშნული კომუჯრედი გთხოვთ, თუ ვინმეს აქვს საწინაალმდეგო ზემო აღნიშნული ამხანაგების ა. ლ. კ. კ. მიღების შესახებ, გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში წ[...]რილობით ან სიტყვიერათ.

მისამართი. ქ. ტფილისი ავლაბარი 1-ლი ლეგიონი უნ[...]ცროს მეთაურთა სკოლა (პირველი ლეგიონის შენობაში).

**1-ლი ლეგიონის უნცროს მეთაურთა კომუჯრედი[...] ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი:**

**დ. ცინცაძე.**

**1. ქ მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში** შე[...]მოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მაღალაშვი[...]ლის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვისა[...] აქვს რაიმე საწინაალმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირი[...] განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი **მითაიშვილი.**

**მე 5-თე ქართულ ლეგიონის მე-9-რე ასეულის კო[...] უჯრედში** განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კან[...]დიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

**უნცროს მთაურები:**

1. **თევდორაძე** ვასილი პეტრეს-ძე
2. **ჯანყარაშვილი** ქრისტეფორე მალხაზის ძე

**წითელ არმიელი:**

1. **სვანიშვილი** ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამ[...]ხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დღ[...] განმავლობაში **ქ. ბათომი ტფილისის ქუჩა № 41.**

პ. მგ. მდივანი: **მ. მექვაბიშვილი.**

**დაიკარგა** ქართულ დივიზის სამხედრო კოოპ[...]რატივის საწევრო წიგნაკი № 1196 არკადი დანელიას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

**დაიკარგა** ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლე[...]ბის მოწმობა გაცემული თბილისი[...] სამაზრო კომისარიატისაგან მიხეილ დიმიტრის ძე მჭედლი[...]შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.